ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 37

24 ოქტომბერი, 2024 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

ეთნათინ ნიბლოშვილი

ნინო ვარდოსანიძე

მარიამ ზაქარიაშვილი

თამარ ჩახვაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

1. კოკა ჯორჯიკია
2. ნოდარ ქორქია
3. ლალი ჯაფარიძე
4. რევაზ გაჩეჩილაძე
5. გიორგი მამულაიშვილი
6. ლიანა ქუთელია

6. ლიანა ქუთელია
7. ნინო შელია
8. მარიამ მაზანაშვილი

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე ე.წ. თბილისი არენასთვის ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლის სახელის მინიჭების შესახებ;
2. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯრის გასასვლელისთვის და მასთან არსებული უსახელო ხეივნისთვის ამაღლების ხეივნის სახელის მინიჭების შესახებ;
3. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეცნიერისა და მთარგმნელის გივი გაჩეჩილაძის სახელის მინიჭების შესახებ;
4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, გრიგოლ გიორგაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის სამსონ დადიანის სახელის მინიჭების შესახებ;
5. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ავთო ვარაზის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
6. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხევმმარის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის კესანების სახელის მინიჭების შესახებ;
7. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, აბაის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ელგუჯა რუხაიას სახელის მინიჭების შესახებ;
8. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, იოსებ იმედაშვილის ქუჩის გაფართოების არეალის კორექტირების შესახებ;
9. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ნეგოს ტყის ქუჩის გაგრძელებისა და მასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის ნეგოს ტყის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ.

10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის ბარალეთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
11. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის ლიბანის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ;
12. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ოხინვალაში, თხინვალას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობის გიორგი გაბელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი.

1. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე ე.წ. თბილისი არენასთვის ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. კომისიაში შემოსულია საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის ვიქტორ სანიკიძის წერილი, რომლითაც ეროვნული ფედერაციის სახელით ითხოვს ახალ აშენებულ სპორტის სასახლეს დაერქვას გამოჩენილი კალათბურთელების ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას სახელები მათი 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

მ.წლის 17 სექტემბერს იგივე მოთხოვნით შემოსულია შპს „სპორტმშენსერვისი"-ს დირექტორის გერონტი ცინდელიანის წერილი და ასევე საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის იოსებ ბაღათურიას წერილი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ოთარ ქორქია იყო თბილისის „დინამოს" მწვრთნელი. 1962 წელს თბილისის "დინამოს" კალათბურთელებმა ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ჯილდო - ჩემპიონთა თასი მოიგეს. ქალაქ ჟენევაში გამართულ ფინალში დინამოელებმა მადრიდის „რეალს" სძლიეს. „დინამოს" მთავარი მწვრთნელი ქართული კალათბურთის ლეგენდა ოთარ ქორქია გახლდათ. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა მიაღწია თავის ისტორიაში უდიდეს წარმატებას - დაეუფლა ევროპის ჩემპიონთა თასს.

ოთარ ქორქია კალათბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ მოწყობილ რეფერენდუმში XX საუკუნის საუკეთესო ქართველ კალათბურთელად აღიარეს. იგი იყო ვახტანგ გორგასლის III ხარისხის და ღირსების ორდენის კავალერი.

ნოდარ ჯორჯიკია თამაშობდა თბილისის „დინამოში", ის იყო ჰელსინკის ოლიმპიადის მეორე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო სტუდენტურ თამაშებში გამარჯვებული.

ნოდარ ჯორჯიკია იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოხსენებული საკითხის დაკმაყოფილება და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე ე.წ. თბილისი არენას მიენიჭოს ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლის სახელი.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები: კოკა ჯორჯიკია და ნოდარ ქორქია. კოკა ჯორჯიკიამ აღნიშნა, რომ ეს სახელდება სასიხარულოა როგორც ოჯახისთვის, ასევე სპორტული საზოგადოებისთვის. ასევე მადლობა გადაუხადა კომისიას ნოდარ ქორქიამ, მან ისაუბრა ამ ორი კალათბურთელის ღვაწლზე ქართული კალათბურთის განვითარების ისტორიაში.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პირველი საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე ე.წ. თბილისი არენას მიენიჭოს ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლის სახელი.

2. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯრის გასასვლელისთვის და მასთან არსებული უსახელო ხეივნისთვის ამაღლების ხეივნის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ლევან აბამიძემ დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე საკითხი განიხილა. კომისიაში შემოსულია მოქ. ლალი ჯაფარიძის განცხადება. რომლითაც ითხოვს ამაღლების ქუჩასთან მდებარე უსახელო ხეივანს მიენიჭოს ამაღლების ხეივნის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ე.წ. უსახელო ხეივანი დამაკავშირებელი გზაა ბოტანიკურ ბაღთან, რომლითაც ბევრი თბილისელი და ქალაქის სტუმარი სარგებლობს. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია კოჯრის გასასვლელი და უსახელო მიმაკვეთი გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს ხეივნად.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მთაწმინდის რაიონში, კოჯრის გასასვლელს და მასთან არსებულ უსახელო ხეივანს მიენიჭოს ამაღლების ხეივნის სახელი.

აზრი გამოთქვა: კომისიას ესწრებოდა განმცხადებელი ლალი ჯაფარიძე. მან აღნიშნა, რომ ეს ტერიტორია არის მნიშვნელოვანი იმ მხრივ, რომ არის ძველი თბილისის ისტორიულ ნაწილი. არის ტურისტებით დატვირთული ტერიტორია, მოსახლეობას აქვს სურვილი მოაწესრიგოს ტერიტორია, იყოს მრავალფუნქციური, იყოს დასასვენებელიც, გამწვანებულიც, იყოს სივცრე ბავშვებისთვისაც. მოსახლეობა ვერ ართმევს თავს ამ პრობლემას(მოსაწესრიგებელია) და ეს სახელდება მნიშვნელოვანია მათთვის.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მიმხრე -ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, კოჯრის გასასვლელს და მასთან არსებული უსახელო ხეივანს მიენიჭოს ამაღლების ხეივნის სახელი.

3. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეცნიერისა და მთარგმნელის გივი გაჩეჩილაძის სახელის მინიჭების შესახებ;**

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქ. დარიკო შენგელიას 03 განცხადება, რომლითაც ითხოვს ისნის რაიონში, შალვა ეშველიძის ქუჩის მიმდებარედ მისამართების მოწესრიგებას.

კომისიაში ასევე შემოსულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ჯაბა სამუშიას წერილი, რომლითაც უნივერსიტეტის სახელით ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს მეცნიერის გივი გაჩეჩილაძის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა გივი გაჩეჩილაძის ბიოგრაფია. გივი გაჩეჩილაძე იყო თვალსაჩინო მეცნიერი, თსუ ინგლისური ფილოლოგიის კათედრის დამაარსებელი. მთარგმნელობითი მოღვაწეობა გივი გაჩეჩილაძემ სტუდენტობისას დაიწყო და გაამდიდრა ქართული ლიტერატურა შექსპირის, ბაირონის, შლის, ბერნსის, კოტსის, თომას მურის, გოეთეს, ჰიუგოს და სხვათა შესანიშნავი თარგმანებით. მისი რედაქტორობით გამოიცა შექსპირის თხზულებათა ექვსტომეული ქართულ ენაზე.

გივი გაჩეჩილაძეს ჰქონდა დამუშავებული მხატვრული თარგმნის თეორიის საკითხები. ამ პრობლემას მიუძღვნა მკლევარმა მრავალი ნაშრომი, მათ შორის:

„მხატვრული თარგმნის თეორიის საკითხები, რეალისტური თარგმნის პრობლემა“ და „მხატვრული თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობანი“

გივი გაჩეჩილაძეს მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში პიროვნული ნაშრომებისათვის მხატვრული თარგმნის თეორიაში.

რაც შეეხება მოქ. დარიკო შენგელიას საკითხს, ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქუჩა უსახელოა და მდებარეობს ნიკო მუსხელიშვილის ქუჩასთან. შენდება მრავალბინიანი სახლები და არის ისნის რაიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვანძი.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა გივი გაჩეჩილაძის შვილი რევაზ გაჩეჩილაძე. მან მადლობა გადაუხადა კომისიას აღნიშნული სახელდებისთვის. აქვე აღნიშნა, რომ ნიშანდობლივია, რომ ნიკო მუსხელიშვილის ქუჩის მიმდებარედ იქნება გივი გაჩეჩილაძის ქუჩაც, რადგან ისინი მეგობრობდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხები.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მეცნიერისა და მთარგმნელის გივი გაჩეჩილაძის სახელი.

4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, გრიგოლ გიორგაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის სამსონ დადიანის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით მოქ. გიორგი ოსეფაშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს კიკეთში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს გრიგოლ გიორგაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს უსახელო ქუჩას. ქუჩასთან განვითარებულია ერთი შესახვევი.

სახელის შერჩევისას კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სახელდება განხორციელდეს თემატური კონტექსტის გათვალისწინებით და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, გრიგოლ გიორგაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ერთ შესახვევს მიენიჭოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის სამსონ დადიანის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.

მომხრე -ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, გრიგოლ გიორგაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ერთ შესახვევს მიენიჭოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის სამსონ დადიანის სახელი.

5. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ავთო ვარაზის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე გიორგი მამულაიშვილის მიმართვის საფუძველზე ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას .

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით, ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ავთო ვარაზის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ავთო ვარაზის ქუჩასთან არსებულ ჩიხს.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული პირი გიორგი მამულაიშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას აღნიშნული სახელდებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეხუთე საკითხს.

მომხრე -ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ავთო ვარაზის I ჩიხის სახელი.

6. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხევძმარის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის კესანების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის გიორგი აბუთიძის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს მოქალაქე ხვიჩა კანთელაშვილს, რომელიც ითხოვს ხევძმარის ქუჩაზე აბრების განთავსებას.

27 აგვისტოს შემოსულია მოქ. ხვიჩა განცხადება, რომლითაც ხევძმარის ქუჩის მოსახლეობის სახელით ითხოვს ხევძმარის ქუჩას მიენიჭოს კესანების სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ ორჯერ გაიმართა შეხვედრა ხევძმარის ქუჩის მაცხოვრებლებთან. მათი სურვილია მოხდეს ხევძმარის ქუჩის სახელის ცვლილება კესანების სახელით.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეექვსე საკითხს.

მომხრე -ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, ხევძმარის ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს კესანების სახელი.

7. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, აბაის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ელგუჯა რუხაიას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ღიღვან ჯაბაშიძემ კომისიის წევრებს, დღის წესრიგით გათვალისწინებული მომდევნო საკითხი გააცნო. კომისიაში შემოსულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა თავმჯდომარის რუსლან აბაშიძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მეომრის ელგუჯა რუხაიას სახელი.

2023 წლის 10 ნოემბერს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამინისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე ინგა ერანოსიანის მიმართვის საფუძველზე ითხოვს ზღვისუბნის დასახლებაში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხები. მიხედვით ტერიტორიის მესაკუთრის შემდეგ ვიოლეტა, რომ გეოგრაფიული ობიექტი უსახელოა და მდებარეობს აბაის ქუჩასთან.

ელგუჯა რუხაია აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს 1993 წლის 15 მაისიდან ირიცხებოდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-2 სამობილ კორპუსის შტაბის დაცვის და უსაფრთხოების ასეულში მსროლელად. იგი აქტიურად მონაწილეობდა ბატალიონის მიერ განხორციელებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში.

ელგუჯა რუხაია დაიღუპა ოჩამჩირის რაიონის სოფელ თამიძში მიმდინარე საომარი მოქმედებების დრის.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა ელგუჯა რუხაიას დედა ლიანა ქუთელია. მან მადლობა გადაუხადა კომისიას აღნიშნული სახელდებისთვის და მისი შვილის სახელის უკვდავყოფისათვის. მან გამოთქვა სურვილი, განხორციელდეს ის მეომრების სახელდებაც, რომლებიც დაიღუპნენ მის შვილთან ერთად. რაზედაც კომისიისგან მიიღო დადებითი. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნოს უფროსმა მამუკა ბალიაშვილმა განუმარტა, რომ ის ითხი მეომრის სახელების

დარქმევა და შერჩევა მოხდება მაითი ოჯახის წევრების მონაწილეობით.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეშვიდე საკითხს.

მომხრე -ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაბალადევის რაიონში, აბაის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ელგუჯა რუხაიას სახელი.

8. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, იოსებ იმედაშვილის ქუჩის გავრცელების არეალის კორექტირების შესახებ;

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის წერილი, რომლითაც მოქალაქე რატი აბაკელიას მიერ მოთხოვნილია სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ რუკაზე ასახული მონაცემების კორექტირება, კერძოდ მის საკუთრებაში რეგისტრირებულია საავტომობილო გზა.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია.

ქუჩის მონაკვეთი კვეთს კორპუსის წითელ ხაზებს, კომისიამ შეისწავლა საარქივო დოკუმენტები და გაირკვა, რომ კორპუსის საზღვრები დადგინდა ქუჩის სახელდებამდე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბურთალოს რაიონში, იოსებ იმედაშვილის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს იოსებ იმედაშვილის სახელი, ხოლო იოსებ იმედაშვილის ქუჩის სახელწოდება გაუქმდეს 01.10.12.020.001 საკადასტრო ერთეულის რეგისტრირებულ საზღვრების არეალში გამავალ ტერიტორიაზე.

აზრი გამოთქვა: სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული პირი მარიამ მაზანაშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ამაღლების ქუჩასთან მდებარე ორ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს ამაღლების I და II გასასვლელის სახელი.

9. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ნეგოს ტყის ქუჩის გაგრძელებისა და მასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის ნეგოს ტყის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ.**

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე რუსუდან ქოროღლიშვილი-ბიაევის მიერ მოთხოვნილია მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედით გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ წავკისში უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ნეგოს ტყის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება. უსახელო ქუჩასთან განვითარებულია ორი უსახელო შესახვევი.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე - სული.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, წავკისში, გაგრძელდეს ნეგოს ტყის ქუჩა და მასთან არსებულ ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ნეგოს ტყის I და II შესახვევების სახელი.

10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის ბარალეთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
11. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთისთვის ლიბანის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძეს წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ბარალეთის ქუჩაზე გზათა ქსელის მოწესრიგება.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ ბარალეთის ქუჩა მოიცავს ერთმანეთთან კავშირის არ მქონე მონაკვეთებს, რაც ართულებს ნუმერაციას.

საჯარო გასწორების მიზნით და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ბარალეთის ქუჩის ერთი მონაკვეთი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ჩიხად, ხოლო მეორე მონაკვეთი ლიბანის I გასასვლელად.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეათე და მეთერთმეტე საკითხები.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ბარალეთის ქუჩის მონაკვეთს ეწოდოს ბარალეთის I ჩიხის სახელი, ხოლო ბარალეთის მეორე ქუჩის მონაკვეთს ლიბანის I გასასვლელის სახელი.

12. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალაში, ნუგზარ აფხაიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობის გიორგი გაბელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან ანასიძის ინფორმაციით მ/წლის 14 ივლისის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე კომისიის წევრის შალვა ოგბაიძის მხრიდან გაჟღერდა

წინადადაება, ქალაქ თბილისში, ერთ-ერთი ქუჩისთვის მსახიობ გიორგი გაბელაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

გიორგი გაბელაშვილმა შექმნა სახასიათო როლები ქართულ კინოში. გადაღებულია ფილმებში „დაკარგული სამოთხე", „ფატიმა", „ყვავილი თოვლზე", „თოჯინები იცინიან", „მხიარული რომანი".

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი შალვა ოგბაიძის ინიციატივას. სახელდებისთვის შეირჩა გეოგრაფიული არეალი ვაკის რაიონში, კერძოდ, თხინვალას ტერიტორია.

ლევაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა მეთორმეტე საკითხი.

მომხრე -ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, თხინვალაში, ნუგზარ აფხაიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მსახიობის გიორგი გაბელაშვილის სახელი.

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე